



ადმონსვლათის პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის
საქართველოს ეროვნული პლატფორმა



აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის

შეხვედრის ოქმი

თარიღი: 6 ივნისი, 2013 წელი

დრო: 16:00 – 18:30 საათი

შეხვედრის ადგილი: ევროპის სახლი

შეხვედრას ესწრებოდნენ:

1. ხუნეიძე ეკატერინე - ევროდელეგაციის ეკონომიკური ატაშე
2. კახა ნადირაძე - ფერმერთა უფლებების დაცვის ასოციაცია (ქვეჯგუფის კოორდინატორი)
3. ოლეგ შატბერაშვილი - ასოციაცია ევროპული კვლევები საქართველოს ინოვაციური განვითარებისთვის (მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
4. ნინო ელიზბარაშვილი - ასოციაცია "ქალი და ბიზნესი" (მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორი)
5. რუსუდან სიმონიძე - საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
6. ეკა გეგეშიძე - ჯუნიორ ეჩივმენტი საქართველო
7. ვახტანგ ზარქუა - ენერგოეფექტურობის ფონდი
8. დიანა ჯანაშია - ქუთაისის განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი
9. ირინა ფუტყარაძე - ჯანმრთელი სამყარო
10. თამარ თაბაგარი - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
11. ეკა ლომინაშვილი - საქართველოს ფერმერთა ასოციაცია
12. დავით გაბუნია - ინტელექტუალური საკუთრება და ინოვაცია
13. თამაზ გულიაშვილი - საქართველოს ახალგაზრდა ფერმერთა ასოციაცია
14. თენგიზ სვანიძე - საქართველოს ჩაის მწარმოებელთა ასოციაცია
15. ვალერი ბასარია - კავკასიის ბიზნესის განვითარების ქსელი

ქვეჯგუფის შეხვედრა გახსნა მეორე ჯგუფის თანაკოორდინატორმა და დამსწრეებს წარუდგინა შეხვედრის დღის წესრიგი.

ევროდელეგაციის ეკონომიკურმა ატაშემ დადებითად შეაფასა საქართველოს ეროვნული პლატფორმის მეორე სამუშაო ჯგუფის ფარგლებში აგარარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის შექმნა. მისი თქმით, ქვეჯგუფის კოორდინატორის მაღალი კვალიფიკაცია და დიდი გამოცდილება მნიშვნელოვნად დაეხმარება ქვეჯგუფს რეფორმირების პროცესში აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ევროდელეგაციის ეკონომიკურმა ატაშემ ყურადღება გაამახვილა აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ფარგლებში აგარარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების პანელის შექმნაზე. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ პანელის პირველ შეხვედრას დაესწრო მეორე სამუშაო ჯგუფის კოორდინატორი, რაც მისი აზრით, ხელს შეუწყობს ქვეჯგუფის ინტეგრირებას ევროგაერთიანების და აღმოსავლეთ პარტნიორობის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამაში შემავალ ქვეყნებთან. ევროდელეგაციის ეკონომიკურმა ატაშემ დადებითად შეაფასა ქვეჯგუფის საქმიანობა, კერძოდ თანამშრომლობა საქართველოს პარლამენტის აგარარულ საკითხთა კომიტეტთან, საქართველოს ხელისუფლების სახელზე ქვეჯგუფის მიერ მომზადებული მიმართვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით.

ქვეჯგუფის წევრებმა პირველ საკითხად მოისმინეს ევროდელეგაციის ეკონომიკური ატაშეს პრეზენტაცია ევროკავშირის მიერ სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში საქართველოს სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის პროგრამის (ENPARD) შესახებ. პროგრამა გულისხმობს საქართველოსთვის ფინანსური დახმარების გამოყოფას 40 მილიონი ევროს ოდენობით, საიდანაც 15 მილიონი წარმოადგენს საგრანტო კომპონენტს. ევროდელეგაციის წარმომადგენლმა თავის პრეზენტაციაში მიმოიხილა საქართველოს სოფლის მეურნეობაში მიმდინარე რეფორმა, საქართველოს პარლამენტის აგარარულ საკითხთა კომიტეტის მიერ მომზადებული კანონ-პროექტი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", ისაუბრა არსებულ გამოწვევებზე, მათ შორის სოფლის მეურნეობის წარმოების, ინვესტირების და მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის წილის შემცირების მიზეზებსა და განვითარების პოტენციალზე.

ევროდელეგაციის ეკონომიკურმა ატაშემ ყურადღება გაამახვილა სოფლის მეურნეობის სფეროში სახელმწიფო სტრატეგიასა და დონორების როლზე, დეტალურად მიმოიხილა ENPARD პროექტის მიზნები, სტრუქტურა და განხორციელების გზები, ისაუბრა ასევე კოოპერატივების შექმნის მნიშვნელობაზე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ" კანონ-პროექტის მუხლი კოოპერატივის სტატუსის მოპოვების და მისი შეწყვეტის შესახებ მიუღებელია ევროგაერთიანებისთვის და დამსწრებს გააცნო საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელის ბატონ ფილიპ დიმიტროვის ოფიციალური წერილი, რომელიც გაეგზავნა საქართველოს პარლამენტის აგარარულ საკითხთა კომიტეტს. წერილი ეხებოდა ამ კანონ-პროექტის მე-7 მუხლის რედაქციას, რომელიც ფერმერულ კოოპერატივებს ავალდებულებს გაწევრიანდნენ ასოციაციაში და გადაიხადონ წევრობის გადასახადები, რაც თავისთავად ბევრ პრობლემას შეუქმნის განვითარების ნულოვან ფაზაში მყოფ კოოპერატივის წევრებს.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ შეხვედრა აქტიური დისკუსიის ფორმატში წარიმართა. დამსწრეებმა იმსჯელეს ევროკავშირის მიერ საქართველოს სოფლის მეურნეობისთვის გამოყოფილ დაფინანსებასა და საგრანტო პროგრამის მუშაობაზე, სოფლის მეურნეობაში მომდინარე პროცესებზე ევროკავშირის ექსპერტების შეფასების მნიშვნელობასა და კანონპროექტზე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ. დამსწრეებმა იმსჯელეს ასევე გეოგრაფიული ინდიკატორების განვითარების ხელშეწყობაზე, ახალგაზრდა და ქალი ფერმერებისთვის შეღავათიანი პირობების შექმნის აუცილებლობაზე, სოფლის მეურნეობის სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაზე. კოორდინატორის თქმით, აღნიშნული დოკუმენტები აუცილებლად საჭიროებს გადახედვას და ამ მიმართულებით საკმარის მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ ქვეჯგუფის წევრ ორგანიზაციებსა და ექსპერტებს. ევროდელეგაციის ეკონომიკურმა ატაშემ დამსწრეებს გააცნო მიწის გასხვისებასთან დაკავშირებით ევროპასა და პოსტსაბჭოურ ქვეყნებში არსებული გამოცდილება.

შეხვედრის ბოლოს კოორდინატორმა წარმოადგინა აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფის პრეზენტაცია. მან დამსწრეებს გააცნო ქვეჯგუფის წევრი ორგანიზაციები, ისაუბრა ქვეჯგუფის მიზნებზე, ამოცანებსა და პრიორიტეტებზე. კოორდინატორმა მიმოიხილა ქვეჯგუფის აქტივობები, კერძოდ ყურადღება გაამახვილა პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარესა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, სადაც დამსწრეებმა მუხლობრივად განიხილეს კანონ-პროექტი "სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ", მასთან დაკავშირებული ცვლილებების პაკეტი საგადასახადო კოდექსში, გრანტებისა და შემოსავლების შესახებ კანონში. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს ის შენიშვნები და რეკომენდაციები, რომლებიც მომზადდა ქვეჯგუფის წევრების მიერ. კოორდინატორმა აღნიშნა, რომ ქვეჯგუფის რამდენიმე წევრი ესწრებოდა საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის საკომიტეტო განხილვებს, სადაც უშუალოდ წარდგენილ იქნა ქვეჯგუფის რეკომენდაციები და შენიშვნები, რომელთა ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ახალ პროექტში. აგრარული პოლიტიკისა და სოფლის განვითარების ქვეჯგუფმა მოამზადა ასევე განცხადება მიწების გასხვისებასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ მინისტრისა და პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე. პრეზენტაციის ბოლოს კოორდინატორმა ისაუბრა საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებულ პრობლემებზე, ვაუჩერების სისტემის ნაკლოვანებებზე, სოფლებიდან მიგრაციის ზრდასა და ამ პრობლემების გადაჭრის შესაძლო გზებზე.

ორსაათნახევრიანი განხილვის შემდეგ ქვეჯგუფის შეხვედრა დასრულდა.

შეხვედრის მდივანი: სალომე ბულია